ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 6 სექტემბრის სხდომის

ოქმი #7

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 6 სექტემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 38 წევრი, სხდომას ესწრებოდა 23 წევრი. სხდომას ესწრებოდნენ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ასისტენტ პროფესორი გიორგი ბრეგვაძე და გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

მიმდინარე სხდომის მდივნად ერთხმად აირჩიეს პროფესორი ომარ ფურთუხია.

დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის განხილვა.

1. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პ. ბაბილუამ აღნიშნა, რომ საჭირო გახდა მაგისტრატურისთვის ადრე გამოყოფილი კვოტების გადახედვა და დაკორექტირება. შემდეგ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ სპეციალისტს ასისტენტ პროფესორ გიორგი ბრეგვაძეს. ბატონმა გიორგიმ საბჭოს წევრებს გააცნო კითხვარი განახლებული კვოტებით (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ო. ფურთუხიამ, ნ.შათაშვილმა, ი.ჩიკვაიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი 1).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
პროფესორი ომარ ფურთუხია